განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 06.07.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 12.08.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ1

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ა(ა)იპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო ურთიერთობები International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია2	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი Master of International Relations
უმაღლესი განათლების საფეხური	მე-7
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პოლიტიკის მეცნიერება და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტირებული გადაწყვეტილება No. 714 27.11.2012

1 ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

2 უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფავლენიშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნა მაჩიტიძე, შპს -საერთაშორისო შავი ზღვის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს -საერთაშორისო შავი ზღვის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წარმოდგენილმა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ (ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი) პირველად აკრედიტაცია მიიღო 27.11.2012-ში No.714 გადაწყვეტილებით.

წარმოდგენილმა პროგრამამ არსებობის მანძილზე განიცადა ცვლილებები, რომლის მიზანი იყო, გაძლიერებულიყო პროგრამის ინტერდისციპლინურობა და თეორიული კომპონენტი დაბალანსებულიყო პრაქტიკულით. ორწლიანი პროგრამის დასრულებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი; რის შემდგომაც, მას ენიჭება შესაბამისი (საერთაშორისო ურთოერთობის მაგისტრი) კვალიფიკაცია.

პროგრამა შედგება 12 სავალდებულო (72 კრედიტი) და 14 არჩევითი (81 კრედიტი; სტუდენტმა სულ მცირე უნდა დააგროვოს 18 კრედიტი) კურსისგან. პირველ და მეორე სემესტრში სტუდენტი გადის სავალდებულო საგნებს, ხოლო მესამე და მეოთხე სემესტრში - არჩევითს; პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 6-კრედიტიან *სასწავლო პრაქტიკის* კურსს (არჩევითი). მეოთხე სემესტრში სტუდენტი მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე (30 კრედიტი, სავალდებულოა).

პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი (ამჟამად 11 აკადემიური და 8 მოწვეული). პერსონალის შერჩევისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება აკადემიურ და პრაქტიკულ გამოცდილებას. პერსონალის შერჩევა ხდება კონკურსის წესით.

პროგრამა ყოველწლიურად იღებს არაუმეტეს 30 სტუდენტსა.

უსდ-სა და სამართლისა და პოლიტიკის სკოლას (შემდგომში სკოლა) აქვს შთამბეჭდავი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ისწავლოს ევროპის უნივესიტეტებში. საერთაშორისო გაცვლითი პროექტების მეშვეობით, რომელსაც უსდ და სკოლა სთავაზობს როგორც სტუდენტს, ისე აკადემიურ პერსონალს, სარგებლობენ სტუდენტებიც და ლექტორებიც.

დამსაქმებლებთან ხშირი კავშირი (ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუები) და ბაზრის ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებზე არის მოთხოვნა; მათი დასაქმების მაჩვენებელი მაღალია (88%, 2007-2020); დასაქმებულთა ნახევარი მუშაობს საჯარო სფეროში, დანარჩენები კერძო სექტორსა და სამოქალაქო (არასამთავრობო, ადგილობრივ და საერთაშორისო) ორგანიზაციებში. სადოქტორო საფეხურზე სწავლა გააგრძელა კურსდამთავრებულთა 17%-მა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა. შეხვედრაზე მოხდა პროგრამის დოკუმენტებზე დეტალური მსჯელობა და სტანდარტების გადანაწილება; შედგა ინტერვიუებისათვის სავარაუდო კითხვების მონახაზი.

ვიზიტი (ონლაინ, ზუმის მეშვეობით) დაიწყო 06.07.2021-ში 10:00 საათზე. პირველ შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომელზეც წარმოდგენილი იყვნენ უსდ-ს კანცლერის მოვალეობის შემსრულებელი, სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი,

სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი,

საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი,

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი. საუბარი შეეხო პროგრამის მნიშვნელობას როგორც უნივერსიტეტისათვის, ისე ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის. კანცლერმა და სკოლის დეკანმა აღნიშნეს, რომ თეორიისა და პრაქტიკის დაბალანსება, უსაფრთხოების საკითხების, დიპლომატიისა და ეკონომიკის მიმართულებების შერწყმა პროგრამას ხდის გამორჩეულს. კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რომ უსდ, ისევე როგორც სკოლა, ორიენტირებულია კვლევითი კომპონენტის გაძლიერებაზე. სხვადასხვა მექანიზმით ისინი ახალისებენ აკადემიურ პერსონალს და ააქტიურებენ სტუდენტთა ჩართულობას კვლევით პროექტებში. სკოლის დეკანი უშუალოდაა ჩართული სტუდენტთა მოტივირების გაზრდაში კვლევითი მიმართულებით (face-to-face შეხვედრები, ღია კონკურსის გამოცხადება, გაცვლით პროექტში უპირატესობის მინიჭება და სხვა).

სკოლის დეკანმა განახცადა, რომ პროგრამა არ განიცდის სტუდენტების ნაკლებობას; პროგრამას შეუძლია მიიღოს მეტიც, მაგრამ უსდ-სა და პროგრამის მიზანია, შეინარჩუნოს მომავალი სტუდენტებისათვის კონკურენტული გარემო.

მეორე შეხვედრის დროს აკრედიტაციის ჯგუფი გაესაუბრა თვითშეფასების ჯგუფის წევრებს: სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანს, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს, სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერს და კურსდამთავრებულს. ინტერვიუების დროს თვითშეფასების ჯგუფის წევრები შეეხნენ ჯგუფის მუშაობის ფორმატს, კონკრეტული წევრების უფლება-მოვალეობებს პროგრამის თვითშეფასების პროცესზე მუშაობისას. საუბრისას აღინიშნა, რომ შრომითი ბაზრის სიღრმისეულ კვლევას ატრებს თავად უსდ დამოუკიდებლად და მონაწილეობს, აგრეთვე, სამ კერძო უნივერსიტეტთან ერთად ერთობლივ კვლევაში.

თვითშეფასების ჯგუფის კურსდამთავრებულმა-წევრმა ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ სკოლის ადმინისტრაცია და პროგრამის განმახორციელებლები ღიანი არიან, მოუსმინონ სტუდენტებს და გაიზიარონ მათი რეკომენდაციები. სტუდენტი პირდაპირ არაა ჩართული თვითშეფასების პროცესში; თუმცა, ხდება სტუდენტების მოსაზრებების გათვალისწინება ანონიმური სემესტრული გამოკითხვებით და ფოკუს-ჯგუფების ინტრვიუირებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან (ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი) შეხვედრისას აკრედიტაციის ჯგუფი გაეცნო აკადემიური პერსონალის შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტებს მათი ქმედითუნარიანობის შესაფასებლად. დაისვა კითხვები, თუ როგორ და როდის ხდება სტუდენტთა ინფორმირებულობა სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებთან; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს, აგრეთვე, ლექტორთა ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმებზე.

ყველაზე ხანგრძლივი შეხვედრა შედგა პროგრამის ხელმძღვანელთან და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის კოორდინატორთან. საინტერესო იყო პროგრამის ხელმძღვანელის ხედვები დაკავშირებული პროგრამის ინტერდისციპლინურობასა და პრაქტიკული კომპონენტების დამატების აუცილებლობასთან. მან ხაზი გაუსვა, რომ პროგრამა განვითარებადია, ითვალისწინებს მსოფლიო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევებს, რეგიონალიზმს (კონცეფცია) და, ამავდროულად, იზიარებს დამსაქმებლებთა და კურსდამთავრებულთა რჩევებს, რის შედეგადაც ხდება საგნების გადახედვა, სილაბუსების გადახალისება და ახალი კურსების დამატება. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა პროგრამის გაუმჯობესებისთვის და ნაბიჯები, რომელიც იდგმება ინტრნაციონალიზაციის გაფართოება/გამრავალფეროვნებისათვის. საუბარი შეეხო პოტენციური სტუდენტების მიღების წინაპირობებსაც.

შესვენების შემდეგ შეხვედრები განახლდა. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ ლექტორებს, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებსა და სტაჟირების განმახორციელებლებს.

შეხვედრების დასრულების შემდეგ, დათვალიერდა (ონლაინ ზუმის მეშვეობით) უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორის თანხლებით. უსდ ინფრასტრუქტურულად გამართულია და მორგებულია სტუდენტების მოთხოვნებზე; ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტი იყოს მოტივირებული და მისი სწავლის შედეგი იყოს მაღალი ხარისხის. ბიბლიოთეკის

დათვალიერებისას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელმა გვაჩვენა, თუ როგორ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა: ონლიან კატალოგი, ონლაინ ელექტრონული აკადემიური ბაზები. სტუდენტს ბიბლიოთეკაშიც და დისტანციურადაც უსდ-ს ელ-პლატფორმის გამოყენებით მარტივად შეუძლია სასურველი წიგნის ან მასალის მოძიება.

შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს ვიზიტზე, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს ისინი უსდ-ს, სკოლისა და პროგრამის წარმომადგენლებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზიტისა და ინტერვიუების გაანალიზების შედეგად, მივიღეთ სტანდარტების შემდეგი შესაბამისობა:

- სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია;
- სტანდარტი 2 - მეტწილად შესაბამისობაშია;
- სტანდარტი 3 - შესაბამისობაშია;
- სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია;
- სტანდარტი 5 - შესაბამისობაშია.

რეკომენდაციები:

1.2 რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგის გადახედვა და დაზუსტება (კონკრეტულად, მეტი აქცენტის გაკეთება პოლიტიკის მიმართულებასა და საერთაშორისო უსაფრთხოებაზე და, შესაბამისად, პროგრამის გაძლიერებაზე აღნიშნული მიმართულების კურსებით);

2.1 რეკომენდებულია, პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს (ზეპირი ან/და წერითი საგამოცდო ფორმატით ჩატარებული) ინგლისურ ენაში B2 დონის მოთხოვნა ან ჩატარდეს ინგლისური ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტი;

2.1 რეკომენდებულია, პროგრამის მიღების წინაპირობის გამოცდის/გასაუბრების ფორმატი იყოს გამჭვირვალე, პროცედურისა და შეფასების მკაფიო კრიტერიუმებისა და რუბრიკის მითითებით.

2.2 რეკომენდებულია, სამართლის საგნების ნაწილის ჩანაცვლება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და პოლიტიკის კურსებით, რითაც მნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში; (მაგ. დაემატოს სავალდებული სტატუსით კურსი - *საერთაშორისო უსაფრთხოება* და დარგის სხვა კურსები);

2.2 სწავლის ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით შექმნა (კვლევა, დაწერა აკადემური წერის სტანდარტის მიხედვით) და დაცვა. შესაბამისად, **რეკომენდებულია** *აკადემიური წერის* კურსის დამატება სავალდებულოს სტატუსით;

2.2 რეკომენდებულია, საგანებს, *ომი და სტრატეგიები, ტერორიზმი და უსაფრთხოება,* შეეცვალოს სტატუსი (გახდეს არჩევითი);

2.3 რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში არსებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფდეს ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობას; (იგულისხმება სილაბუსების გადახალისება: ლიტერატურის გაახლება, გამრავალფეროვნება, საკითავი მასალის სწორად მითითება, შეფასების რუბრიკების გასწორება, ქეისების შესწავლის დამატება);

2.3 რეკომენდირებულია, შეიცვალოს საგნების - *ომი და სტრატეგიები, ტერორიზმი და უსაფრთხოება,* სათაური, რათა მოვიდეს შესაბამისობაში კურსში განხილულ თემებთან;

2.3 რეკომენდირებულია, შინაარსობრივად შეიცვალოს კურსი - *კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა;* კურსი მთლიანად უნდა იყოს კვლევის მეთოდოლოგიებზე (თვისებრივი და რაოდენობრივი) მორგებული;

2.3 აუცილებელია, დაზუსტდეს და გასწორდეს საგნების მიზნები და მოვიდეს თანხმობაში კონკრეტული საგნის ფარგლებში შესასწავლ თემებთან;

2.4 რეკომენდებულია, დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული აკადემიური ლიტერატურის მითითებისა და ნაშრომის გაფორმების წესი სრულად შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ შერჩეულ APA ან Chicago Style სტანდარტებს;

2.4 რეკომენდირებული, ყველა დაცულ სამაგისტრო ნაშრომში კვლევის დიზაინისთვის აუცილებელი კომპონენტებისა და მათი თანმიმდევრულობის არსებობა (მათ შორის კვლევის მიზნები, ამოცანები, კვლევის კითხვები, ჰიპოთეზები, კვლევის მეთოდები და სხვა) იყოს უზრუნველყოფილი; მიზნის მიღწევა შესაძლებელია *აკადემიური წერის* კურსის დამატებითა და *კვლევის მეთოდებისა და აკადემიური წერის* კურსის მოდიფიცირებით;

2.5 გუნდური მუშაობის ელემენტის ჩართულობა უნდა გაძლიერდეს ყველა კურსში, სადაც კი ეს შესაძლებელია; ჯგუფურად მუშაობის კომპონენტის განვითარება მნიშვნელოვანია, რადგან ის არის სწავლის ერთ-ერთი შედეგი;

2.6 რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების - 1. *თავდაცვის ეკონომიკა;* 2. *ევროკავშირის სამართალი,* 3. *კავკასია XIX-XX: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია,* 4. *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია*, 5. *საერთაშორისო სამართალი,* 6. *საერთაშორისო*

სახელშეკრულებო სამართალი, 7. *საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი,* 8. *ტერორიზმი და უსაფრთხოება* და 9. *შედარებითი პოლიტიკა,* სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით;

4.1 რეკომენდირებულია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში ჩართულობის შესახებ;

5.3 რეკომენდებულია, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და აღნიშნული პროცესის ფორმალიზებაც (დოკუმენტური დადასტურება).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1.2 სასურველია, დაზუსტდეს ბაზრის კვლევის ფოკუს-ჯგუფისთვის შერჩეული ორგანიზაციები, რათა თავიდან იყოს აცილებული ცდომილება (bias) კვლევის შედეგების ანალიზისა და პროგრამის პრიორიტეტების დადგენისას;

2.2. სასურველია, უსდ-ს რეგულაციაში გაწერილი არჩევითი საგნის არჩევის პროცედურა შეესაბამებოდეს პროგრამაში რეალურად მისი განხორციელების პროცესს, რათა სტუდენტმა თავისუფლად შეძლოს მისთვის საინტერესო კურსის არჩევა;

2.2 გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის სტრუქტურაში, რომლის მიხედვითაც, „დიპლომატიის ისტორია 1“ და „დიპლომატიის ისტორია 2“ ერთსა და იმავე სემესტრშია მონიშნული;

2.2 გასწორდეს ხარვეზები თვითშეფასებაში;

2.2 სასურველია, პლაგიატის პროგრამის აქტიური გამოყენება ყოველი კურსის მიმდინარეობისა, რათა პლაგიატზე შემოწმდეს ნებისმიერი კურსის ფარგლებში შესრულებული წერითი დავალება (ესსე, რეფერატი და სხვა), რაც სტუდენტს გაუძლიერებს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტს;

3.1 სასურველია, სტუდენტებს სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა ჰქონდეთ ელექტრონული სასწავლო ბაზის მეშვეობით დამოუკიდებლად და არ ეგზავნებოდეთ სასწავლო კურსების სავარაუდო ჩამონათვალი ელექტრონულ ფოსტაზე;

3.2 სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთი მაგისტრანტების ნაშრომის სტრუქტურას, განსაკუთრებით კვლევის დიზაინისა კომპონენტების თვალსაზრისით;

4.1 მოწესრიგდეს საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დოკუმენტაცია;

5.1 სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში;

5.1 სასურველია, სტუდენტი იყოს წარმოდგენილი გრძელვადიანი სტატუსით თვითშეფასების ჯგუფში;

5.3 სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნას არსებული თანამშრომლობა და კონტაქტები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მიზნით.

საუკეთესო პრაქტიკა:

მისასალმებელი პრაქტიკაა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის (GIPA) ვროცლავის უნივერსიტეტთან (University of Wroclaw, Poland), თანამშრომლობის ფარგლებში სურვილის შემთხვევაში სტუდენტისთვის ორმაგი ხარისხის მინიჭების შესაძლებლობა.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ რეაკრედიტაციის პროცესში პროგრამამ განიცადა მთელი რიგი ცვლილებები - დაზუსტდა პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა; დაემატა სავალდებულო და არჩევითი საგნები (ჯამში 13); შემუშავდა ქმედითი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (დაიდო მნიშვნელოვანი მემორანდუმები პატნიორ უნივერსიტეტებთან); დაიხვეწა ხარისხის შეფასების მექანიზმები; უსდ-მ მოიზიდა მაღალკვალიფიციური კადრები.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტმა შეიძინოს საერთაშორისო ურთიერთობებების თეორიისა და პრაქტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა; შეისწავლოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ეკონომიკური განვითარების, საერთაშორისო სამართლის, სახელმწიფო მოწყობისა და მოდელის როლი. პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს: უსაფრთხოების პოლიტიკაში შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსახურების როლისა და ადგილის გააზრების უნარი; საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიის როლის სიღრმისეული გააზრების უნარი; საერთაშორისო ურთიერთობების მიმდინარე საკითხების კომპეტენტური ანალიზის უნარი, ანალიტიკური დოკუმენტების, აკადემიური სტანდარტების დაცვით, კვლევის განხორციელებისა და შესაბამისი შედეგების გაცნობა/პრეზენტირების უნარი; ახალ, მულტიდისციპლინურ გარემოსთან ადაპტირების, დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარი. ჩამოთვლილი მიზნების მიღწევა და გაზომვა ხდება პროგრამის ფარგლებში შექმნილი მიზნებისა და შედეგების რუკით, პირდაპირი და არაპირდაპირი სამიზნე ნიშნულებით. ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, რომელიც თანხმობაშია უსდ-ს მისიასთან, პროგრამა უნივერსიტეტთან ერთად მოტივირებულია შესთავაზოს სტუდენტს ხარისხიანი განათლება, მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები, როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ჩართულობით, კვლევითი თუ პედაგოგიური საქმიანობის ხელშეწყობით.

უსდ-ს მიზანია, აღზარდოს დემოკრატიული ღირებულებების მქონე ლიდერები; პროგრამა

ჰარმონიზირებულია უსდ-ს მისიასთან და პროგრამის ფარგლებში მოწოდებულია, სახელმწიფოს მიაწოდოს მაღალი რანგის პროფესიონალები, რომლებიც სრულყოფილად ფლობენ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს.

უსდ, ისე როგორც სკოლა და პროგრამა, ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციის პროგრამის გამრავალფეროვნება/გაფართოებაზე. ამჟამად, პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ERASMUS+ გაცვლით პროექტში. უშუალოდ პროგრამა, ვროცლავის უნივერსიტეთან (პოლონეთი) ერთად, მათ სთავაზობს მიიღოს ორმაგი ხარისხი: საერთშორისო ურთიერთობების მაგისტრისა (ჯიპა) და პოლიტიკის მეცნიერების (ვროცლავი) აკადემიური ხარისხი. დაგეგმილია მსგავსი პროექტის განხორციელება პასაუ და ჰამბურგის უნივერსიტეტებთან (გერმანია) და მემორანდუნის განახლება ტროის უნივერსიტეტთან (აშშ).

უსდ-ს მიზანია კვლევითი საქმიანობის გაძლიერება/გააქტიურება და ამისათვის აქტივობა რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება (შიდა საუნივერსიტეტო გრანტები, წიგნის თარგმანა, policy paper-ის მხარდაჭერა, საკუთარი peer-review ჟურნალის, *Journal of Politics and Democratization*, გამოცემა, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა (მათ შორის ფინანსური), და საერთაშორისო რეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების წახალისება (მათ შორის ფინანსური)). მნიშვნელოვანია, რომ კვლევითი პროექტისათვის შიდასაუნივერსიტეტო გრანტის მისაღებად, სავალდებულო მოთხოვნაა 2-3 სტუდენტის პროექტში ჩართულობა.

უსდ-მ საერთშორისო სამართლისა და პოლიტიკის სკოლასთან ერთად ჩაატარა ბაზრის კვლევები (დამოუკიდებლად 2018 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით). ამავდროულად, უსდ ჩართული იყო შრომითი ბაზრის ერთობლივ კვლევაში საქართველოს სამ სხვა კერძო უნივერსიტეტთან ერთად (GICE Partnership-ის დაკვეთით) 2019 წელს (თუმცა, აკრედიტაციის ჯგუფს არ მიეცა საშუალება, ენახა კვლევის შედეგები. განცხადდა, რომ პარტნიორებთან შეთანხმების გარეშე აღნიშნულ დოკუმენტს უსდ ვერ გასცემდა). კვლევამ მოიცვა 48 აკადემიური პროგრამა, რომელთა შორის იყო საერთშორისო ურთიერთობა. კვლევა ჩატარდა ორი მეთოდოლოგიით: რაოდენობრივი და თვისებრივი; თვისებრივი მეთოდი მოიცავდა პოტენციურ დამსაქმებელთა ფოკუს- ჯგუფის ინტერვიუირებას (კარგი იქნება დაზუსტდეს ფოკუს-ჯგუფისთვის შერჩეული ორგანიზაციები, რათა თავიდან იყოს აცილებული ცდომილება (bias) კვლევის შედეგების ანალიზისას, როგორც ეს აჩვენა

აღნიშნულმა ბაზრის კველევამ; კერძოდ, საერთაშორისო ურთერთობების სფეროს პრიორიტეტების გამოკვეთისას, წინ პლანზე წამოიწია თავდაცვის საკითხებმა).

სკოლის ადმინისტრაცია პერიოდულად ხვდება დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს. როგორც ბაზრის კვლევებმა, ისე დამსაქმებლებთან შეხვედრებმა ფუკუსირება გაუკეთა ის ძირითადი მოთხოვნებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს პროგრამის კურსდათავრებულმა. მოთხოვნათა შორისაა როგორც დარგის (თავდაცვის საკითხები, სტრატეგიული კომუნიკაცია) თეორიული ცოდნა, ასევე მისი პრაქტიკული გამოყენება; ენების სრულყოფილად ფლობა; კომპიუტერული პროგრამების მოხმარების უნარი; წერითი და ზეპირმეტყველებითი უნარები; კომუნიკაციის უნარი; გუნდური მუშაობის უნარი, კრეატიულობა, დეტალებზე ორიენტირება, პრობლემის გადაჭრა და სხვა.

პროგრამის განვითრებისათვის უსდ-სა და საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაცია, ითვალისწინებს არამარტო ბაზრის კვლევის შედეგებს, არამედ კურსდამთავრებულების ხედვებს და დამსაქმებლებთან თანამშრომლობისას მიღებულ რჩევებს. ეს მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამა არის მოწოდებული დასაქმების ბაზარს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი შესთავაზოს. აღნიშნული აქტივობების გატარების შედეგად, პროგრამაში განხორციელდა მთელი რიგი ცვლილებები. მაგალითად, გაუქმდა საგანი -*საერთაშორისო პროტოკოლი;* კურუკულუმს დაემატა ახალი საგანი - *საერთაშორისო თანამედროვე პოლიტიკა* (სავალდებულო) და არჩევითი სტატუსით შემდეგი კურსები: *საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა, თავდაცვის ეკონომიკა, კავკასია XIX-XX: ოკუპაციის კონფლიქტების და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია* და საერთაშორისო სამართლისა და საჯარო მმართველობის საგნები.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა სტუდენტს სთავაზობს საგანის, *სასწავლო პრაქტიკა,* გავლას ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებში. საგანი ორიენტირებულია განავითაროს სტუდენტის ორგანიზაციაში მუშაობის უნარი.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის განვითარებაში ჩართულია საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის აკადემიური პერსონალი. პროფესორებთან ერთად, ლექციებს კითხულობენ პრაქტიკოსი დიპლომატები და პოლიტიკოსები. უსდ, ისე როგორც პროგრამა, ორენტირებულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვებ-გვერდზე (https://gipa.ge) როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • ჯიპას მისია, • ჯიპას სტრატეგიული გეგმა, • თვითშეფასების დოკუმენტი, • საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, • დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, • გაცვლითი პროგრამების რეგულაციის დოკუმენტი, • შრომის ბაზრის კვლევის ანალიზი, • მემორანდუმები, • ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვებ-გვერდი (https://gipa.ge).
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა Vშესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულს აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს სიღრმისეული ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარი; ამავდროულად, ის ფლობს მომიჯნავე დარგების (შედარებითი პოლიტიკა, საერთაშორისო სამართალი და ეკონომიკა, უსაფრთხოება და სტრატეგია), რაც აფართოებს მაგისტრის თვალსაწიერს, მსოფლმხედველობას და უიოლებს ახალი იდეების, ინოვაციების გენერირების პროცესს.

პროგრამის აღწერასა და თვითშეფასების დოკუმენტში პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ოთხივე ეტაპი გაწერილი. სწავლის შეფასების პირველი ეტაპი (სწავლის შედეგების ჩამოყალიბება) მოიცავს ცოდნისა და გაცნობიერების საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთობებთან და მომიჯნავე დარგებთან; კონკრეტულად კი, ცოდნასთან საერთაშორისო ურთიერთობებში, პოლიტიკის მეცნიერებაში, ეკონომიკურ განვითარებაში, უსაფრთხოებასა და სტრატეგიაში; ამავდროულად, სტუდენტი დაეუფლება საერთაშორისო სამართლის ასპექტებს. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იქნა ბაზრის კვლევის ანალიზის შედეგები და დამსაქმებელთა მოთხოვნები.

უნდა აღინიშნოს, რომ *უსაფრთხოება,* (რომლის მოთხოვნა იკვეთება როგორც ბაზრის კვლევაში, ისე დამსაქმებელთა გამოკითხვისას), ცალკე საგნად არაა შეთავაზებული; ხაზგასასმელია, რომ დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფთან მუშაობამ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოკვეთა თავდაცვის საკითხი, რომელიც უსაფრთხოების სფეროს ერთ - ერთი შემადენელი ნაწილია. ფოკუს-ჯგუფში დამსაქმებელთა ორგანიზაციები ჩამონათვალის გაცნობისას, გაჩნდა აზრი, რომ სასურველი იქნებოდა ფოკუს-ჯგუფში ჩართული დამსაქმებლების უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებულნი სფეროსთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული პრიორიტეტების მცდარი დალაგება. შესაბამისად, საჭიროა სამართლის კურსების შემცირება და პოლიტიკისა და უსაფრთხოების (კონკრეტულად, საერთაშორისო უსაფრთხოება) საგნებით პროგრამის გაძლიერება, რისი მოთხოვნაც გაჟღერდა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუირებისას.

პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავება ხდება როგორც კონკრეტული კურსის ფარგლებში (ესსე, გამოცდა, პლაგიატის წესი, პრეზენტაცია და სხვა), ისე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას (კვლევის ფარგლებში კვლევის კითხვის დასმა, ჰიპოთეზის გენერირება, ლიტერატურის მოძიება და დამუშავება, კვლევისათვის

აუცილებელი მონაცემების მოგროვება, მათი ანალიზი და შედეგად დასკვნის გაკეთება, ნაშრომის დაწერა წერის აკადემიური სტანდარტის მიხედვით).

პრაქტიკული უნარის შეძენის თვალსაზრისით, პროგრამის ერთ-ერთი შედეგია თეორიული მოდელების პრაქტიკაში გამოყენება. პროგრამის დასრულების შემდეგ, სტუდენტს შეეძლება არსებული გამოწვევების გააანალიზირება და ახალი იდეების გენერირება „უცნობ და მულტიდისციპლინურ გარემოში“ (ბუნდოვანია, როგორ მიიღწევა სწავლის ეს შედეგი? რა პრაქტიკული მექანიზმებით?). მაგისტრი ფლობს უნარს, დააკვირდეს მოვლენებს, მოიძიოს და გაანალიზიროს კვლევისათვის საჭირო მასალა; მას შეუძლია სხვადასხვა წყაროდან მოიღებული მონაცემების შესწავლა, ინფორმაციის სინთეზი და მისი არგუმენტირებული წარდგენა აკადემიური თუ პროფესიული საზოგადოებისათვის. აღნიშნული უნარები მიიღწევა ინდივიდუალური კურსის ფარგლებში დიკუსიებით, დებატებით, კაზუსების ამოხსნით და ა.შ. პრაქტიკული საგნებისა და სასწავლო პრაქტიკის კურსის შეთავაზებით. ეს უკანასკნელი არჩევითია; მას, ძირითადად, ირჩევს სტუდენტი, რომელიც დასაქმებული არაა, რაც ხელს უწყობს მისი პრაქტიკული უნრების განვითარებას და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობისათვის გამოყენებას.

სწავლის ერთ-ერთი შედეგია გუნდთან ერთად ეფექტური მუშაობა. სილაბუსების დეტალურმა შესწავლად აჩვენა, რომ პროგრამის კურსების მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს ჯგუფურ პროექტზე მუშაობას, (გუნდში მუშაობის ერთ-ერთი ფორმატი), გუნდური თანამშრომლობის უნარის გამოსამუშავებლად. აკრედიტაციის ჯგუფი თვლის, რომ აუცილებელია როგორც პრაქტიკულ (სადაც იოლია კურსში ჯგუფური აქტივობის ინტეგრირება), ისე თეორიულ საგნებში გუნდური მუშაობის უნარის გამომუშვებაზე ორიენტირებული აქტივობების ჩართვა.

პროგრამა სწავლის შედეგების შესაფასებლად იყენებს სამ ინდიკატორს: I(Introduction), D(Development) და M(Master). პროგრამა ანიჭებს თითოეულ კურსს ერთ-ერთ ამ ინდიკატორს და მისი გავლის შემდგომ, საგანში დადებითი შეფასების მიზნობრივი ნიშნული განსაზღვრება კონკრეტული პროცენტული მაჩვენებელით (80%) (გადახრა 15%). პროგრამის დასრულების შედეგებზე დაყრდნობით ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამაგისტრო ნაშრომს (M- დონე), რომელიც თავის მხრივ, კომპლექსურად აჩვენებს, როგორ იქნა გამოყენებული სტუდენტის მიერ სწავლის პროცესში შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა შერწყმული კვლევით და ანალიზის, წერით და ზეპირი წარდგინების უნარებთან (გადახრა თითოეულ სამიზნე ნიშნულთან 10%).

სტუდენტთა სწავლის შედეგების გაზომვა ხდება პირდაპირი (ყოველი კურსის ბოლოს სტუდენტთა შეფასება ტესტით, გამოცდით, პრეზენტაციით და სხვა) და არაპირდაპირი (სტუდენტის თვითშეფასება და დამსაქმებლის მიერ კურსდამთავრებულის შეფასება) მეთოდებით. ამვდროულად, ტარდება სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვები, რომლის ანალიზის საფუძველზე ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება ზომების მიღება გამოკვეთილი პრობლემის აღმოსაფხვრელად. შედეგების გაზომვის მეთოდი რელევანტური და ტრანსფარანტულია. პროგრამაში შემავალი საგნები თანმიმდევრულად აძლევს მოქმედ სტუდენტებს დარგის კონკრეტული მიმართულებით ცოდნას. პრაქტიკული, მათ შორის მეთოდოლოგიის, მოლაპარეკების, სასწავლო პრაქტიკა და სხვა, კურსები გამოუმუშავებს სტუდენტს თეორიული ცოდნის ეფექტიანად გამოყენების, კვლევისა და ანალიზის უნარებს, რომელსაც ის ნათლად წარმოაჩენს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, • საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები, • თვითშეფასების დოკუმენტი, • დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (თავი 8).
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგის გადახედვა და დაზუსტება (კონკრეტულად, მეტი აქცენტის გაკეთება პოლიტიკის მიმართულებას, უსაფრთხოებასა და რეგიონალურ პოლიტიკურ სისტემებზე; შესაბამისად, პროგრამის გაძლიერება აღნიშნული მიმართულების კურსებით). ***(არგუმენტირებული პასუხისა და ჯგუფის განხილვის საფუძველზე გადაწყდა, რეკომენდაციიდან ამოღებული იქნეს ფოკუსი „რეგიონალურ პოლიტიკურ სისტემებზე“).***
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, დაზუსტდეს ბაზრის კვლევის ფოკუს-ჯგუფისთვის შერჩეული ორგანიზაციები, რათა თავიდან იყოს აცილებული ცდომილება (bias) კვლევის შედეგების ანალიზისა და პროგრამის პრიორიტეტების დადგენისას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს საერთაშორისო ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა; მიღების მოთხოვნები პროგრამის მსურველ აბიტურიენტებთან მიმართებაში საჯაროა; ინფორმაცია მისაღებ პროცედურებსა და მოთხოვნებზე ხელმისაწვდომია, რაც უადვილებს მსურველს მიიღოს გადაწყვეტილება. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე მოსახვედრად პოტენციური სტუდენტი უნდა ფლობდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური აკადემიური ხარისხს. მან უნდა ჰქონდეს ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდები. ამ

ორი წინაპირობის დაკმაყოფილების შემდეგ აუცილებელია შიდასაუნივერსიტეტო სამეტაპიანი პროცედურის გავლა: 1. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს საერთო სააპლიკაციო ფორმა, რომლის მეშვეობითაც მოხდება აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასება (დოკუმენტების ანალიზი); 2. წერილობითი გამოცდა სპეციალობაში (საერთაშორისო ურთიერთობის ცოდნის დონის შეფასება) და 3. გასაუბრება მისაღებ კომისიასთან, რომლიც აფასებს აპლიკანტის მოტივაციას და ინგლისური ენის ცოდნის დონეს.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ინგლისური ენის დონის შეფასების მექანიზმი უნდა იყოს დაკონკრეტებული და გამჭვირვალე (მაგალითად, B2 დონის ან უფრო მაღალი ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წაედგენა ან წერილობითი, სტანდარტული კრიტერიუმებით შედგენილი ტესტის დაწერა, რაც საშუალებას მისცემს შეფასებით უკმაყოფილო აპლიკანტს გაასაჩივროს კონკრეტული საკითხში ან მთლიანად ტესტში მიღებული ქულა; შესაძლებელია, ზემოთ მითითებული მექანიზმების არარსებობის შემთხვევაში, ჩარიცხვის შემდგომ, უსდ-მ ან სკოლამ ჩაატაროს ინგლისური ენის ცოდნის ფლობის დონის განმსაზღვრელი ტესტი). აღნიშნული პროცედურა მნიშვნელოვანია, რადგან პროგრამაში შეთავაზებული კურსების უმრავლესობა საკითხავ მასალას იძლევა ინგლისურ ენაზე.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე შესაძლებელია მობილობის წესით ჩარიცხვა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და სავალდებულო პროცედურებისა და უსდ-ს მიერ დადგენილი წესების დაცვით. შესაძლებელია აგრეთვე, ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა საზღვარგარეთ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან. პროცესი ხორციელდება კანონით დადგენილი პროცედურების გათვალისწინებით.

სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვა წარმოებს „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად. გარე მობილობისა და შიდა მობილობის მარეგულირებელი წესები გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების პირველ თავში (თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია თავი 7 და 8; გასასწორებელია).

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაზე მიღების პირობების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ვებ-გვერდზე (https://gipa.ge). დამატებით, უსდ სკოლასთან ერთად გეგმავს, ორგანიზირებას უკეთებს და ატარებს ღია კარის დღეებს. ამ დროს პოტენციურ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ შეხვდნენ სკოლის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამაში ჩართულ ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების დოკუმენტი, • საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პრიოგრამა, • დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (თავი 1), • ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ქართულ და ინგლისურენოვან ვებ-გვერდი (https://gipa.ge), • ინტერვიუები უსდ-ს და სკოლის ადმინისტრაციასთან; პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს (ზეპირი ან/და წერითი საგამოცდო ფორმატით ჩატარებული) ინგლისურ ენაში B2 დონის მოთხოვნა ან ჩატარდეს ინგლისური ენის ფლობის დონის დასადგენი ტესტი; რეკომენდირებულია, პროგრამის მიღების წინაპირობის გამოცდის/გასაუბრების ფორმატი იყოს გამჭვირვალე, პროცედურისა და შეფასების მკაფიო კრიტერიუმებისა და რუბრიკის მითითებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან Vმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარებაში მონაწილეობას იღებს აღნიშნული უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები (ადმინისტრაცია, ხარისხის სამსახური, საერთაშორისო სკოლის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი და ა.შ.), პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები; დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და გარე ექსპერტი.

პროგრამამ შემუშავებისას გაითვალისწინა „უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ დოკუმენტი (თავი 2 - „კრედიტების დაგროვებისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემასა და კრიტერიუმები, რომელშიც მოცემულია კრედიტ-საათის, სასწავლო კვირის სემესტრში დასაგროვებელი კრედიტებისა და სხვა განმსაზღვრელი რეგულაციები“ და თავი 3 – „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“).

პროგრამა ორწლიანია (4 სემესტრი). სტუდენტმა მაგისტრის საკვალიფიკაციო ხარისხის მოსაპოვებლად უნდა დააგროვოს 120 კრედიტი. პროგრამაში შედის როგორც სავალდებულო (12 კურსი - 72 კრედიტი), ისე არჩევითი საგნები (14 კურსი, 81 კრედიტი; სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 18 კრედიტისა); ინტერვიუირებისას არ გამოიკვეთა ნათლად, როგორ ირჩევენ სტუდენტები არჩევითი საგნებს (როგორია არჩევის მექანიზმი). პროგრამის კოორდინატორმა აღნიშნა, რომ ინფორმაცია არჩევით საგნებზე სტუდენტებს ეგზავნებათ იმეილით და ამის შემდგომ ისინი ირჩევენ კურსს. სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან საუბარში გამოიკვეთა, რომ ჯგუფი, ინფორმაციის მიღების

შემდეგ, იწყებს მოლაპარაკებას და მისი დასრულებისას არჩევანი კეთდება საგანზე, რომლითაც დაინტერესებულია უმრავლესობა. კონკრეტულ კურსში ჯგუფი იხსნება, თუ 5 სტუდენტი მაინც გამოხატავს ინტერესს. ხშირად სტუდენტები საგნის არჩევისას ითვალისწინებენ კურსის ჩატარების ადგილმდებარეობასაც (მაგალთად, საჯარო მმართველობა და ორგანიზაციები, რომელიც თბილისის სხვა რაიონში ტარდება, არჩეულია იშვიათად; ინტერვიუ კოორდინატორთან). სასურველია, ნათლად იყოს გაწერილი არჩევითი საგნის არჩევის პროცედურა, რომ სტუდენტმა თავისუფლად შეძლოს მისთვის საინტერესო კურსის არჩევა.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს 6 კრედიტიან არჩევით საგანს - *სასწავლო პრაქტიკა.* ბოლო სემესტრში სტუდენტი მუშაობს სამაგისტრო ნაშრომზე (სავალდებულო, 30 კრედიტი). კურსებში გათვალისწინებულია საკონტაქტო, დამოუკიდებელი სამუშაო და საკონსულტაციო საათები (კვირაში 1 საათი).

პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი (11) და მოწვეული ლექტორები (8), მათ შორის მოქმედი პრაქტიკოსები (დიპლომატები და პოლიტიკოსები). მათი კონკურსით შერჩევის კრიტერიუმია - აკადემიური და პრაქტიკული საქმიანობაში გამოცდილება.

საერთაშორისო ურთერთობების სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი განთავსებულია უსდ-ს ვებ-გვერდზე.

უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ცალკე გამოყოფილ საგანად არაა შეთავაზებული *საერთაშორისო უსაფრთხოება.* ინტერვიუებში გაჟღერდა, რომ აღნიშნული მიმართულების საგნის თემები იფარება სხვა სილაბუსებში (მაგ. *თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა, ომი და სტრატეგია* (მოიცავს ომის ისტორიულ მოვლენებს და კონკრეტულ საომარ სტრატეგიებს, ამიტომ კურსს უნდა შეეცვალოს სახელი); *ტერორიზმი და უსაფრთხოება,* რომელიც ფარავს ტერორიზმის თემებს (ძირითადად ქეისები)). ზოგადად, საგანი - საერთაშორისო უსაფრთხოება, ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა საერთაშორისო კრიზისები, ეთნიკური კონფლიქტი, ადამიანის უსაფრთხოება და გენოციდი, ენერგორესურსებისა და ენერგომატარებლების უსაფრთხოება, ეკონომიკური და კიბერ-უსაფრთხოება, ბირთვული, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ქიმიური იარაღის გავრცელება; კლიმატის ცვლილება და ბუნებრივი კატაკლიზმები და სხვა. აკრედიტაციის ჯგუფი ფიქრობს, რომ *საერთაშორისო უსაფრთხოება* უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო საგანი. სხვაგვარად რთული იქნება სწავლის შედეგზე გასვლა. ამასთან, აკრედიტაციის ჯგუფი თვლის, რომ კურსს, *ომი და სტრატეგიები,* უნდა შეეცვალს სტატუსი და გახდეს არჩევითი.

სწავლის ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით შექმნა (კვლევა, დაწერა აკადემური წერის სტანდარტის მიხედვით) და დაცვა. შესაბამისად, აუცილებელია, *აკადემიური წერის* კურსის დამატება სავალდებულო სტატუსით.

დოკუმენტში, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა, კურსები, *დიპლომატია 1 და დიპლომატია 2*, შეთავაზებულია ერთი და იგივე სემესტრში. მითითებული ხარვეზი გასასწორებელია. (გასასწორებელია აგრეთვე თვითშეფასების დოკუმენტში თანაფარდობა - აფილირებული ლექტორი/მოწვეული ლექტორი).

უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ჯგუფში არაა წარმოდგენილი სტუდენტი. პროცედურის მიხედვით, ხდება სტუდენტთა არაპირდაპირი გამოკითხვა. მათი ხედვები გათვალისწინებულია თვითშეფასების ჯგუფის მიერ პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისათვის; თუმცა, აკრედიტაციის ჯგუფი მაინც ფიქრობს, რომ სტუდენტების უნდა იყვნენ გრძალვადიანად წარმოდგენილი თვითშეფასების ჯგუფში.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებისას, აღინიშნა, რომ მათი სურვილი იქნებოდა, თუ სამართლის საგნების ნაწილი მაინც ჩანაცვლდებოდა საერთაშორისო ურთიერთობების კურსებით, რითაც მნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა,
- სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები,
- თვითშეფასების დოკუმენტი,
- დოკუმენტი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,
- აკადემიური და მოწვეული ლექტორების პირადი საქმეები,
- დოკუმენტი - უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (თავი 2,3),
- ინტერვიუები სკოლის დეკანთან პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან,
- უსდ-ს ვებ-გვერდი - https://gipa.ge.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, სამართლის საგნების ნაწილის ჩანაცვლდბა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და პოლიტიკის კურსებით, რითაც მნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (მაგ. დაემატოს სავალდებული სტატუსით კურსი - *საერთაშორისო უსაფრთხოება* და დარგის სხვა კურსები);

სწავლის ერთ-ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია სამაგისტრო ნაშრომის წარმატებით შექმნა (კვლევა, დაწერა აკადემური წერის სტანდარტის მიხედვით) და დაცვა. შესაბამისად, აუცილებელია, აკადემიური წერის კურსის დამატება სავალდებულოს სტატუსით; საგანებს, *ომი და სტრატეგიები, ტერორიზმი და უსაფრთხოება* შეეცვალოს სტატუსი (გახდეს არჩევითი).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, უსდ-ს რეგულაციაში გაწერილი არჩევითი საგნის არჩევის პროცედურა შეესაბამებოდეს პროგრამაში რეალურად მისი განხორციელების პროცესს, რათა სტუდენტმა თავისუფლად შეძლოს მისთვის საინტერესო კურსის არჩევა; გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის სტრუქტურაში, რომლის მიხედვითაც, „დიპლომატიის ისტორია 1“ და „დიპლომატიის ისტორია 2“ ერთსა და იმავე სემესტრშია მონიშნული; გასწორდეს ხარვეზები თვითშეფასებაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან Vმეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
• ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; • სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს კონკრეტულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებულ კურსებს. სწავლის მიზნები და შედეგები წარმოდგენილია დეტალიზირებულად თითოეული საგნის სილაბუსში და ისინი შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიერ განსაზღვრულ მაგისტრატურის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს.

როგორც, ზემოთ აღინიშნა, სტუდენტმა პროგრამის ფარგლებში უნდა გაიაროს 12 სავალდებულო საგანი (72 კრედიტი) და აირჩიოს 14 (81 კრედიტი) არჩევითი საგნიდან სულ მცირე 3 (18) კრედიტი მაინც.

პროგრამის მიერ შეთავაზებული სილაბუსების შესწავლისას გამოიკვეთა რამდენიმე საერთო ნაკლოვანება - ლიტერატურა ითხოვს გამრავალფეროვნებას და გათანამედროვეობას (უნდა დაემატოს აკადემიური სტატიები); ლიტერატურის წყაროებთან გამორჩენილია გამოქვეყნების წლები და არაა მითითებული გვერდები; გადასახედია შეფასების რუბრიკები. ბევრ სილაბუსში ჩანაწერი "სტუდენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში ეთვლება მიღებული შუალედური და ფინალური გამოცდის შეფასება, თუკი, მიღებული ქულა კომპონენტის მაქსიმალური ქულის 20%-ს შეადგენს ან/და აღემატება", ფორმალურია და საჭიროებს შედარებას შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებთან. მაგ. დასკვნითი გამოცდის 40 ქულიდან თუ ამ კალკულაციით 8 ქულა არის მინიმალური ზღვარი, რუბრიკებში მითითებულია 1-7 ქულა სრულიად არადამაკმაყოფილებელი და 8-18 არადამაკმაყოფილებელი (აღნიშნული დაიკვირვება მაგ. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო სამართალი, ევროკავშირის სამართალი, დიპლომატიის ისტორია 1,2 და სხვა). ასევე, გადასახედია შეფასების სხვადასხვა კომპონენტში რამდენად რელევანტურია შეფასების მსგავსი სკალის გამოყენება (ფრიადიდან სრულიად არაფამაკმაყოფილებლამდე)? მაგალითად სასემინარო აქტივობის შეფასებისას. აუცილებელია სილაბუსის ფარგლებში დეტალურად გაიწეროს ლექციისა და სემინარის/სხვა ფორმატის სამუშაოსთვის კუთვნილი საათების რაოდენობა კვირების მიხედვით.

რაც შეეხება კონკრეტულ კურსებს, *საგანის, ომი და სტრატეგია,* მიზანია „სტრატეგიის თეორიული მოდელისათვის“ ყურადღების დათმობა (მხოლოდ მე-9 ლექციის ერთ-ერთი თემაა შეკავების თეორიის არსი; გაუგებარია, რის საფუძველზე მოხდა კონკრეტულად ამ თეორიის შერჩევაც); ანალოგიური შენიშვნაა საგანთან, *დაზვერვის საფუძვლები* (მიზანი -

„სტუდენტი გაეცნოს დაზვერვის თეორიულ საფუძვლებს“; არც ერთი თემა არ ეხება თეორიას; საგანი ზოგადად პრაქტიკულია); მსგავსი დაიკვირვება *ტერორიზმისა და უსაფრთხოების* საგანშიც - სილაბუსში არაა წარმოდგენილი უსაფრთხოების არც ერთ თემა; უნდა შეიცვალოს საგნის სათაური; დარჩეს მხოლოდ *ტერორიზმი* და შეიცვალის სტატუსი, გახდეს არჩევითი. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულბთან ინტერვიუირებისას გამოითქვა სურვილი, პროგრამა გამდიდრდეს საერთაშორისო ურთიერთობის საგნებით. ექსპერტების შეთავაზებაა, პროგრამას სავალდებულო სტატუსით დაემატოს კურსი - *საერთაშორისო უსაფრთხოება.* თანამედროვე *საერთაშორისო პოლიტიკის, დაზვერვის და საერთაშორისო ეკონომიკა* საგნებში განხილული იქნეს ქეისები; პირველი საგნის შემთხვევაში - მხოლოდ თანამდროვე ქეისები; *დიპლომატიის ისტორია* 2-ის თემატიკა სრულდება ცივი ომით; სასურველია, თანამედროვე დიპლომატიურ ურთიერთობებსაც დაეთმოს გარკვეული დრო. მით უფრო, რომ შედეგებში მითითებულია მიმდინარე პროცესების ანალიზი. კურსში, *თავდაცვის ეკონომიკა,* თემების სათაურები ზოგადია, უნდა იყოს მეტი კონკრეტიკა. კურსი, *კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა,* შინაარსობრივადაა შესაცვლელი. აღნიშნული კურსი უმდა იყოს ორიენტირებული კვლევის რაოდენობრივი და თვიოსებრივი მეთოდების შესწავლაზე.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა; შესაბამისად, კვლევის ეფექტიანად შესასრულებლად, სტუდენტი სრულყოფილად უნდა ფლობდეს კვლევის როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ მეთოდოლოგიას, რაც გაუადვილებს მას დაადგინოს, თუ რა მეთოდია გამოსადეგარი მისი კვლევისთვის, რომ შემდგომ დამოუკიდებლად შეძლოს არჩეული მეთოდოლოგია/მეთოდის გამოყენება მონაცემების მოპოვების, ანალიზისა და დასკვენების გაკეთების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასება,
- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა,
- პროგრამის სილაბუსები,
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან,
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში არსებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს და უზრუნველყოფდეს ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობას; (იგულისხმება სილაბუსების

გადახალისება: ლიტერატურის გაახლება, გამრავალფეროვნება, საკითავი მასალის სწორად მითითება, შეფასების რუბრიკების გასწორება, ქეისების შესწავლის დამატება); შეიცვალოს საგნების - *ომი და სტრატეგიები, ტერორიზმი და უსაფრთხოება,* სათაური, რათა მოვიდეს შესაბამისობაში კურსში განხილულ თემებთან; შეიცვალოს შინაარსობრივად კურსი - *კვლევის მეთოდები და აკადემიური წერა;* კურსი მთლიანად უნდა იყოს კვლევის მეთოდოლოგიებზე (თვისებრივი და რაოდენობრივი) მორგებული; დაზუსტდეს და გასწორდეს საგნების მიზნები და მოვიდეს თანხმობაში კონკრეტული საგნის ფარგლებში შესასწავლ თემებთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაში ჩადებულია პრაქტიკული უნარების განვითარების კომპონენტი.

რიგ კურსებს ასწავლიან პრაქტიკოსი დიპლომატები და პოლიტიკოსები, რაც პროგრამას პრაქტიკული თვალსაზრისით აძლიერებს.

უნდა გამოიყოს პრაქტიკული, ტრანსფერული, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი/საშემსრულებლო უნარების განმავითარებელი სამი მიმართულება: 1. კურსი უშუალოდ მიმართული სამომავლო პროფესიული უნარების განვითარებაზე, 2. კურსი ორიენტირებული კველევითი/სამეცნიერო უნარების განვითარებასა და კურსის ფარგლებში იგივე უნარების გამომუშავებაზე და 3. საგნის გავლისას წერითი, ზეპირი პრეზენტაციის, გუნდური მუშაობისა და სხვა უნარების შეძენაზე.

პროფესიული, პრაქტიკული უნარების განვითარებისათვის პრაქტიკას ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებში (ადგილზე) სტაჟირებით პროგრამა სთავაზობს საგანს, *სასწავლო პრაქტიკა* (არჩევითი). ამასთან პროფესიული უნარების გამომუშავებისკენ არის მიმართული ისეთი კურსები, როგორიცაა *საერთაშორისო მოლაპარაკების წარმოების ხელოვნება, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა, და ომი და სტრატეგიები (აგებულია ქეისებზე), მდგრადი განვითარება და მართვა, საგარეო პოლიტიკის მართვა.*

სამეცნიერო/კვლევითი უნარების ძირითადი განმავითარებელია სამაგისტრო ნაშრომი, რომელზე მუშაობის პერიოდში სტუდენტი იძენს კომპლექსურ უნარებს: ლიტერატურის მოძიება, კვლევის მეთოდოლოგიის დადგენა, ემპირიული მონაცემების მოპოვება, დამუშავება და ანალიზი; წერისა და ბოლოს, ზეპირად წარდგენის უნარი. ამავდროულად აღსანიშნავია უსდ-ს სტრატეგია, რომელიც გაგვაცნო უსდ-ს კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. სტრატეგიის მიზანია მოიზიდოს და გააქტიუროს სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში (შიდასაუნივერსიტეტო გრანტები). კვლევითი პროექტის დაფინანსების ერთ-ერთი მოთხოვნაა სტუდენტი(ები)ის ჩართვა პროექტში. თავად პოლიტიკისა და სამართლის სკოლაც ახორციელებს მსგავს ღონისძიებას სტუდენტთა კვლევითი აქტივობის წასახალისებლად.

პროგრამის ყველა საგანი კურსის ფარგლებში გამოუმუშავებს სტუდენტს წერითი და ზეპირი წარდგინების უნარებს. რიგი საგნები მოიცავს გუნდური მუშაობაზე ორიენტირებულ აქტივობას (მაგ. *შედარებითი პოლიტიკა, საერთაშორისო სამართალი, კვლევის მეთოდები, საერთაშორისო მოლაპარაკების წარმოების ხელოვნება, მდგრადი განვითარება და მართვა* და სხვა); მაგრამ მთელ რიგ საგნებში ჯგუფური მუშაობის კომპონენტი საერთოდ წარმოდგენილი არაა. პროგრამის ერთ-ერთი მიზანი და შედეგი სწორედ გუნდურად მუშაობაა; ამიტომ აკრედიტაციის ექსპერტები თვლიან, რომ აღნიშნული უნარის სრულყოფილი შეძენისათვის კურსების დიდმა ნაწილმა უნდა

დაამატოს სულაბუსს აქტივობა მიმართული სწორედ გუნდურობის უნარის გასაძლიერებლად. პროგრამის ფარგლებში არ ისწავლება კურსი - *აკადემიური წერა;* ამიტომ ლექტორებს კურსის ფარგლებში და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს უწევთ აუხსნან სტუდენტებს აკადემიური წერის სტანდარტები და წერის სტილი (style). პროგრამა უშვებს ორი სტილის სტანდარტს - Chicago Style და APA. (სამაგისტრო ნაშრომების გადახედვამ არ აჩვენა, რომ სტუდენტები ფლობენ აკადემიური წერის სტანდარტებს (სტილი) და ნაშრომის აგებულებაც ნაკლებად შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას და ფორმატს). უსდ ფლობს პლაგიატის პროგრამა TURNITIN-ს. პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ თუ მოწვეულ ლექტორებთან გასაუბრებისას, გამოჩნდა, რომ აღნიშნული პროგრამით ამოწმებენ მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომებს. სასურველია, პლაგიატის პროგრამის აქტიური გამოყენება ყოველი კურსის მიმდინარეობისას, რათა პლაგიატზე შემოწმდეს ნებისმიერი კურსის ფარგლებში შესრულებული ყველა წერით დავალება (ესსე, რეფერატი და სხვა). მითითებული აქტივობა გაუძლიერებს სტუდენტს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტს. რადგან სამაგისტრო ნაშრომის შესრულება სავალდებულოა და ყველა საგანში მოითხოვება წერითი ნაშრომი, ვთვლით, რომ პროგრამას უნდა დაემატო ისეთი პრაქტიკული საგანი, როგორიცაა *აკადემიური წერა,* რომელიც დაეხმარება სტუდენტს დაწეროს სტრუქტურულად სწორადაგებული ნებისმიერი ტიპის ნაშრომი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, ○ საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება, ○ პროგრამის სილაბუსები, ○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ○ გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან და პრატიკული საგნების ლექტორებთან, ○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ○ მემორანდუმები ადგილობრივ და საერთაშორისო (მოქმედი საწართველოში) არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული აკადემიური ლიტერატურის მითითებისა და ნაშრომის გაფორმების წესი სრულად შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ შერჩეულ APA ან Chicago Style სტანდარტებს; რეკომენდირებული, ყველა დაცულ სამაგისტრო ნაშრომში კვლევის დიზაინისთვის აუცილებელი კომპონენტებისა და მათი თანმიმდევრულობის არსებობა (მათ შორის კვლევის მიზნები, ამოცანები, კვლევის კითხვები, ჰიპოთეზები, კვლევის მეთოდები და სხვა) იყოს უზრუნველყოფილი; მიზნის მიღწევა შესაძლებელია *აკადემიური წერის* კურსის დამატებითა და *კვლევის მეთოდებისა და აკადემიური წერის* კურსის მოდიფიცირებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, პლაგიატის პროგრამის აქტიური გამოყენება ყოველი კურსის მიმდინარეობისა, რათა პლაგიატზე შემოწმდეს ნებისმიერი კურსის ფარგლებში შესრულებული წერითი დავალება (ესსე, რეფერატი და სხვა), რაც სტუდენტს გაუძლიერებს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამაში კარგადაა გამოკვეთილი სწავლის მეთოდები, ხოლო სასწავლო კურსებში მოცემული მეთოდების ანალიზმა ცხადყო, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ერთი მხრივ, შეესაბამება კურსის/კომპონენტის შინაარსს, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა ლექცია, ინტერაქციული მუშაობა, დემონსტრირება, სემინარი, დისკუსია/დებატები, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, დედუქციური და ინდუქციური მიდგომები, შემთხვევის შესწავლა, სიტუაციურ დავალებებზე მუშაობა, ლიტერატურის მოძიება, ანალიზი და სინთეზი, შემთხვევების შედარება, თანამშრომლობითი სწავლება და სხვა.

გუნდური მუშაობის ელემენტის ჩართულობა უნდა გაძლიერდეს ყველა კურსში (ნაწილში ის წარმოდგენილია, დიდ ნაწილში - არა). ჯგუფურად მუშაობის კომპონენტის განვითარება მნიშვნელოვანია, რადგან ის არის სწავლის ერთ-ერთი შედეგი.

აღსანიშნავია, რომ ლექტორს აქვს მინიჭებული ავტონომიურობა. მას შეუძლია აირჩიოს სწავლების მეთოდი, რომლის პროგრამაში არაა მითითებული, თუ ის თვლის, რომ კონკრეტული მეთოდი სწავლის უფრო ეფექტიან შედეგს მოიტანს. ყველა სილაბუსში გაწერილია, რა მეთოდს იყენებს ლექტორი სწავლების პროცესში. ამასთან ლექტორები ითვალისწინებენ სტუდენტების ინდივიდუალურ მოთხოვნებსაც. ინკლუზიური განათლების გასაძლიერებლად უსდ ჩაერთო ERASMUS+“-ის საგრანტო პროექტში - ,,უკეთესი კომუნიკაციის ხელშეწყობა (ABC)“, რომლის ფარგლებშიც კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევების მიმართულებით შესაბამისი საგანმანათლებლო მოდულებისა და პროგრამის შემუშავების გარდა, განხორციელდა სპეციალური აღჭურვილობის შეძენა და სპეციალისტების მომზადება.

მობილობით გადმოსული და სტატუს-აღდგენილი სტუდენტებისათვის პროგრამა ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას საჭიროების შემთხვევაში, რომ სტუდენტმა შეძლოს პროგრამის ვადებში დასრულება.

რეკომენდაციები:

გუნდური მუშაობის ელემენტის ჩართულობა უნდა გაძლიერდეს ყველა კურსში, სადაც კი ეს შესაძლებელია; ჯგუფურად მუშაობის კომპონენტის განვითარება მნიშვნელოვანია, რადგან ის არის სწავლის ერთ-ერთი შედეგი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალედ და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია. სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად სემესტრის განმავლობაში გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის მიხედვით, დასკვნითი შეფასება არის სავალდებულო და თუ სტუდენტი არ მიიღებს დასკვნით შეფასებას, მას კურსი არ ჩაეთვლება გავლილად. ამასთან, სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან გადალახა შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური ზღვრები და ჯამში ორივეში ერთად მიიღო დადებითი შეფასება. სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით დადგინდა, რომ დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან; ამასთან სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ინდივიდუალურად 20%-დან 50%-ის ფარგლებში, ხოლო შუალედური შეფასებისთვის შუალედური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთ მრავალჯერადი შეფასების კომპონენტები, როგორიცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, დებატები, დისკუსია და ა.შ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში, კერძოდ:

1. „თავდაცვის ეკონომიკა“; 2 „ევროკავშირის სამართალი“; 3. „კავკასია XIX-XX: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია“; 4. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“; 5. „საერთაშორისო სამართალი“; 6.“საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი“; 7.“საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი“; 8.“ტერორიზმი და უსაფრთხოება“ და 9. „შედარებითი პოლიტიკა“ არ არის მოცემული დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდების შესაბამისი რუბრიკები, სილაბუსებში მოცემულია მხოლოდ ზოგადი შეფასების რუბრიკები, თუმცა არ კონკრეტდება შეფასების რომელი მეთოდი (ტესტი, ესე, ღია შეკითხვა, კაზუსი თუ სხვა) რომელი რუბრიკითა და კრიტერიუმებით ფასდება, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 (2007 წლის 5 იანვარი) ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით სავალდებულოა, შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მითითება.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის მართვის მექანიზმები უზრუნველყოფს პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე მეთოდების უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების

შეთავაზებას; შესაბამისად, პროგრამის პერსონალი იღებს ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის სათანადო მხარდაჭერას, რაც დადასტურდა ინტერვიუების პროცესში.

სტუდენტის შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებითი შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

და ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

FX შეფასების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 5 დღეში.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა სავალდებულო სახით მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვას, რომელიც ფასდება რეცენზენტისა და კომისიის მიერ შემდეგი კომპონენტების მიხედვით: მეთოდოლოგია, გამოყენებული ლიტერატურის რელევანტურობა, კრიტიკული ანალიზი არგუმენტაცია და დასაბუთება, დასკვნების, ინფორმაციის, მონაცემების პრეზენტაცია, სტრუქტურა და თანმიმდევრულობა, ზეპირი სახით ინფორმაციის გადმოცემის უნარი და სხვა. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესში დეტალურადაა მოცემული თითოეულ ეტაპზე სტუდენტის შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები და რუბრიკები.

პლაგიატის პრევენციისთვის უსდ-ს დანერგილი აქვს ანტიპლაგიატის პროგრამა “Turnitin”.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და

აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალის სისტემა. პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ, ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე, განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს. მსგავსი უკუკავშირი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის ეფექტურ მიმდინარეობას.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, ლექტორი ვალდებულია გამოცდის შედეგები სტუდენტს გააცნოს გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. გამოცდის შედეგების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს საგამოცდო ნაშრომის შეფასება, უნივერსიტეტის საერთო მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, წერილობითი საჩივრის წარდგენის გზით. საჩივრის განხილვის მიზნით, სკოლის დეკანი განსაზღვრავს იმ ლექტორს ან დარგის სხვა ექსპერტს, რომელიც ვალდებულია 2 კვირის ვადაში საფუძვლიანად შეისწავლოს და ობიექტურად განიხილოს სტუდენტის ნაშრომი ან, ზეპირი გამოცდის შემთხვევაში ჩაატაროს განმეორებითი გამოცდა. ადმინისტრაცია ვალდებულია სტუდენტის ნაშრომი, რომელიც ექვემდებარება შეფასებას, ელექტრონული ან მატერიალური ფორმით, შეინახოს ნაშრომის გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე. აღნიშნული შესაძლებლობა დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუს დროსაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები,
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით),
- სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი,
- თვითშეფასების დოკუმენტი,
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი,
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარი №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, შემდეგი სასწავლო კურსების - 1. *თავდაცვის ეკონომიკა;* 2. *ევროკავშირის სამართალი,* 3. *კავკასია XIX-XX: ოკუპაციის, კონფლიქტებისა და საზოგადოებრივი განვითარების ისტორია,* 4. *საერთაშორისო ურთიერთობების თეორია,* 5. *საერთაშორისო სამართალი,* 6. *საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი,* 7. *საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი,* 8. *ტერორიზმი და უსაფრთხოება* და 9. *შედარებითი პოლიტიკა,* სილაბუსებში დასკვნითი გამოცდების შეფასების მეთოდები იყოს დაკონკრეტებული შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებითა და რუბრიკით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		V		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლის შედეგებზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც სტუდენტებთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ საჭიროების შემთხვევაში ლექტორებისგან იღებენ დამატებით კონსულტაციებს; თუმცა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ უმრავლეს შემთხვევაში, მათ არ გამოუყენებიათ საკონსულტაციო საათები. ამასთან, ინტერვიუების პროცესში აღინიშნა რომ სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას პროგრამის კოორდინატორისაგან ყველა სიახლეზე, როგორიცაა ცვლილება განრიგში, დაგეგმილი შეხვედრა უნივერსიტეტის მიერ მოწვეულ სტუმრებთან, დაგეგმილი სპორტული ღონისძიება, გაცვლითი პროგრამები ან სწავლის დაფინანსების შესაძლებლობა და სხვა. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი, რომელსაც მაკოორდინირებელი ფუნქცია აქვს სტუდენტებს, შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციასა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის. აღნიშნული ცენტრი, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში ურთიერთობს, ერთი მხრივ, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, და, მეორე მხრივ, დამსაქმებლებთან, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის (CV-ის შედგენა, გასაუბრების ტექნიკები და სხვა) საჭირო ტრენინგ-კურსები. იმართება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში. უნივერსიტეტი მართავს

დასაქმების ფორუმებს და რეგულარულად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. ამასთან ხდება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის მონიტორინგი, რაც დადასტურდა კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს აქვს ფართო თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან; საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტები ჩართულები არიან საერთაშორისო გაცვლით პროექტებსა და სემესტრულ მობილობებში. ჯიპას საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი აქტიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას საერთაშორისო პროექტების, კონფერენციებისა და სემესტრული მობილობების შესახებ. ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ორმაგი ხარისხი ვროცლავის უნივერსიტეტთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკურ მეცნიერებებში. აღნიშნულისთვის სტუდენტმა პირველი და მეორე სემესტრი უნდა ისწავლოს „ჯიპაში“,მესამე სემესტრს ატარებს ვროცლავის უნივერსიტეტში, ხოლო სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისათვის ბრუნდება საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში. პროგრამის დასრულების შემთხვევაში კურსდამთავრებულებს ენიჭებათ: მაგისტრის აკადემიური ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში (GIPA) და მაგისტრის აკადემიური ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებებში (University of Wroclaw, Poland), რაც მისასალმებელი პრაქტიკაა.

სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას (სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას). ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით, სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. სტუდენტი სარგებლობენ სათანადო კონსულტაციით საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში იღებენ რჩევებს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოსაყენებლად. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს არჩევით სასწავლო კურსების არჩევამდე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მისდით სავარაუდო სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რის შემდეგაც სტუდენტი

უკავშირდებიან პროგრამის კოორდინატორს, რომელიც ელექტრონულ სასწავლო ბაზაში აფიქსირებს სტუდენტისთვის სასურველ სასწავლო კურსს; სასურველია, სტუდენტებს სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა ჰქონდეთ ელექტრონული სასწავლო ბაზის მეშვეობით, რათა გამარტივდეს აღნიშნული პროცედურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები და ფუნქცია-მოვალეობები; • თანამდებობრივი ინსტრუქცია – პროგრამების ხელმძღვანელი; • თანამდებობრივი ინსტრუქცია – პროგრამის კოორდინატორი; • საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; • თვითშეფასების დოკუმენტი; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სტუდენტებს სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა ჰქონდეთ ელექტრონული სასწავლო ბაზის მეშვეობით დამოუკიდებლად და არ ეგზავნებოდეთ სასწავლო კურსების სავარაუდო ჩამონათვალი ელექტრონულ ფოსტაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): მისასალმებელი პრაქტიკაა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის (GIPA) ვროცლავის უნივერსიტეტთან (University of Wroclaw, Poland), თანამშრომლობის ფარგლებში სურვილის შემთხვევაში სტუდენტისთვის ორმაგი ხარისხის მინიჭების შესაძლებლობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის მიხედვით, მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები. საჭიროების შემთხვევაში მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს კონსულტანტი, რომელიც არის დარგის ექსპერტი ან/და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი და აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული შესაბამისი გამოცდილება/ცოდნა, რომელსაც იგი შეარჩევს ხელმძღვანელთან და პროგრამის კოორდინატორთან შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევაში კონსულტანტი იდენტიფიცირდება, როგორც სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი. ერთმა პიროვნებამ შესაძლოა, ხელმძღვანელობა გაუწიოს არაუმეტეს ხუთ სამაგისტრო ნაშრომს. თანახელმძღვანელობის შემთხვევაში, დაშვებულია არაუმეტეს რვა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა, რაც პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის გათვალისწინებით მიღწევადია. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესის მიხედვით, მაგისტრანტი საკუთარი სურვილით ირჩევს საკვლევ თემას და თემის შესაბამისად ხელმძღვანელს. ამასთან, დებულების მიხედვით, მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს თემის შერჩევაში, კვლევის გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის შერჩევაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები, რაც დადასტურდა აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომების შესწავლამ აჩვენა, რომ ნაშრომები გაკრვეულ სტრქტურულ ხარვეზებს შეიცავს, რის გამოც სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთი

მაგისტრანტების ნაშრომის სტრუქტურას, განსაკუთრებით კვლევის დიზაინისა კომპონენტების თვალსაზრისით. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ეტაპზე სტუდენტი კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ერთჯერადად ფასდება. თითოეული ეტაპისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესი, კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები (დამტკიცებულია ა(ა)იპ ჯიპა- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის 18/02 გადაწყვეტილებით); • სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი; • საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • თვითშეფასების დოკუმენტი; • ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთი მაგისტრანტების ნაშრომის სტრუქტურას, განსაკუთრებით კვლევის დიზაინისა კომპონენტების თვალსაზრისით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
• პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; • პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; • პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდა არიან ჩართულნი პროგრამის განხორციელებაში; • პროგრამის სტუდენტები სამივე უზრუნველყოფილები არიან უნივერსიტეტის მიერ სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი შედგება 19 წევრისაგან (11 აკადემიური პერსონალი, აქედან 10 აფილირებული - 6 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 3 ასისტენტ-პროფესორი და 8 მოწვეული პერსონალი). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 6 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ამავე დროს, აკადემიური პერსონალის შესახებ გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში მოიპოვება მხოლოდ 9 აკადემიური, 5 ადმინისტრაციული პერსონალის გუნდის წევრის მონაცემები და 1 მოწვეული ლექტორის პირადი საქმე.

აკადემიური პერსონალის გუნდი დაკომპლექტებულია უმეტესწილად პოლიტიკის მეცნიერებათა, საერთაშორისო ურთიერთობების, სოციალურ მეცნიერებათა, სახელმწიფო მართვის სფეროს სპეციალისტებით, ვისიც კვალიფიკაცია რელევანტურია პროგრამის დარგისთვის. აღსანიშნავია, რომ წარდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებში მოიპოვება როგორც მოწვეული, ასევე აკადემიური და ააფილირებული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები. გასაუბრებების და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დადგინდა პროგრამის ხელმძღვანელის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შემუშავებისათვის.

საერთო ჯამში, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევითი და პროფესიული გამოცდილება უზრუნველყოფს საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის შედეგების მიღწევას, პროგრამის წარმატებულ ფუნქციონირებას და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული გასაუბრებებიდან და ასევე წარდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება ყოველწლიულად ხდება. საუნივერსიტეტო სკოლებიდან აღნიშნული ინფორმაციის შეკრება ხორციელდება აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების წლიური ანგარიშგების ფორმის საფუძველზე აკადემიური პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების ფორმის, ე.წ. დანართის # 8 მეშვეობით.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ წარდგენილი დოკუმენტაციის ფარგლებში აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში მითითებულია მხოლოდ სასწავლო პროცესის ფარგლებში დაგეგმილი/განხორციელებული საათობრივი დატვირთვა ჯიპა-ში და სხვა უნივერსიტეტებში. აქედან გამომდინარე, კვლევებში ჩართულობის, კურიკულუმის

განვითარების და სხვა კომპონენტების მხრივ გათვალისწინებული დატვირთვა უნდა იყოს ასახული.

(დამაზუსტებელი კომენტარი არგუმენტირებული პასუხის შესაბამის პუნქტზე - 4.1. სტანდარტის მიხედვით (პუნქტი 15) რეკომენდაცია რჩება უცვლელი. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების დოკუმენტის N8 დანართში 81-87 გვერდზე ხელმისაწვდომი <u>აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის შეფასების</u> შაბლონი. გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: ***"რეკომენდირებულია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში ჩართულობის შესახებ".*** შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია ეხება არა კვლევით-სამეცნიერო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობას, არამედ კვლევით-სამეცნიერო კომპონენტის ასახვას დატვირთვის სქემის შაბლონში. ცხადია, პროდუქტიულობის შეფასება უნდა ხდებოდეს წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით, რომელიც დადებითად იმოქმედებს აკადემიური პერსონალის ყოველწლიურ შეფასებაზე. შეგახსენებთ, რომ უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაში აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემის შაბლონში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მხოლოდ სასწავლო კურსების/ საათობრივი დატვირთვის შესახებ.

რაც შეეხება 15 პუქნტის ბოლო ნაწილს (უნივერსიტეტი დამატებით წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას, რომელიც სააკრედიტაციო ვიზიტის პროცესში არ იყო მოთხოვნილი - „პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სახელმძღვანელო“). პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, ისედაც უნდა ჰქონდეთ წარდგენილი დამატებითი მოთხოვნის გარეშე. ის აუცილებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალის ნაწილია).

თვითშეფასების ანგარიშში წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პროგრამის რეაკრედიტაციის მიზნით მოთხოვნილი დოკუმენტაციის გაგზავნის დროს აქტიურ სტატუსს ფლობს 42 სტუდენტი. პერსონალის და სტუდენტების რაოდენობიდან გამომდინარე ცხადია, რომ პროგრამის სტუდენტები ჯიპა-ს მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (2018 წელი);
- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სესიების ფარგლებში;

- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა - შაბლონი;
- ადმინისტრაციული, აკადემიური (აფილირებული), მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში აისახოს ინფორმაცია კვლევით-სამეცნიერო ღონისძებებში ჩართულობის შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

მოწესრიგდეს საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დოკუმენტაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებიდან და შესწავლილი დოკუმენტაციიდან გამოვლინდა, უნივერსიტეტის პროგრამაში ჩართული ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება რეგულარულად ხდება. შეფასების მექნიზმები დეტალურად აღწერილია პერსონალის მართვის წესის დოკუმენტში (2018 წლის). შესაბამისად, შეფასების სისტემა გულისხმობს სხვადასხვა პოზიციის თანამშრომლების საქმიანობის ხარისხობრივ და რაოდენობრივ შეფასებას, რომელიც ხორციელდება წელიწადში ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს) და მოიცავს გასული სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასებას და უნივერსიტეტის სასწავლო მიზნებთან შესაბამისობის განსაზღვრას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასების მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება რამდენიმე კომპონენტი, როგორიცაა საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა, ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობა, გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა საერთაშორისო უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ორგანიზაციებში, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა, უნივერსიტეტის ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრში დაგეგმილ სასწავლო კურსებში ჩართვა და სხვა. ჯიპა-ს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროების ინიცირება ხდება მისი უშუალო ხელმძღვანელის მიერ. ამის გარდა, შეფასების პროცესი დეტალურად გაწერილია აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში. გასაუბრებების დროს გამოჩნდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროცედურის შესახებ ინფორმირების მაღალი დონე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კვლევის დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელთან შედგა გასაუბრება აკრედიტაციის ვიზიტის ერთ-ერთი სესიის ფარგლებში. თვითშეფასებისა და პერსონალის საქმიანობის ანგარიშში ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიხედვით, დეპარტამენტის დაარსების შედეგად უნივერსიტეტის მასშტაბით აღინიშნება საგრანტო დაფინანსების ზრდა (2020 წელი), სამოგზაურო გრანტების უზრუნველყოფის გაუმჯობესებული მაჩვენებლი (7.000 ლარი თითო სკოლის შემთხვევაში). უნივერსიტეტში ხორციელდება შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შიდა კვლევით პროექტებში უსდ-ს მიერ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ჩართულობის წახალისება, რაც ხელს უწყობს მათი კვლევითი უნარების

განვითარებას. პანდემიის პირობებში პერსონალის სამოგზაურო გრანტებისთვის გათვალისწინებული თანხები გამოყენებული იქნა სამეცნიერო კონფერენციებში სარეგისტრაციო ხარჯების დასაფარად. მნიშვნელოვანია, რომ წელიწადში ორჯერ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალის წარმომადგენლებს შეუძლიათ განაცხადი შეიტანონ და მიიღონ მონაწილეობა კონკურსში ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე (3 პროექტი ყოველწლიურად) სამუშაოდ. კვლევების დეპარტამენტის გარდა, უნივერსიტეტში დაარსდა პოლიტიკის შეფასების ცენტრი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ანალიტიკური დოკუმენტაციის ხარისხის გაუმჯობესებას უნივერსიტეტისთვის სხვადასხვა რელევანტურ დარგში. უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სხვადასხვა ტრენინგებში, რომლის ორგანიზებას და კოორდინირებას უზრუნველყოფს Teaching Excellence Center. ღონისძიებების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში. ამავე დროს, სასურველია, სკოლის მხრიდან უფრო დეტალური და მოწესრიგებული ინფორმაცია წარდგენილი იყოს აღნიშნულ ღონისძიებებში საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის პერსონალის ჩართულობის შესახებ. აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების დოკუმენტაციის თანახმად, 2013 წლიდან 2020 წლის ჩათვლით აფილირებული პროფესორებიდან უმეტესწილად სამმა აფილირებულმა პროფესორმა ისარგებლა სამართლის და პოლიტიკის სკოლის მხარდაწერით სხვადასხვა კვლევითი ხასიათის ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. ასევე, ღონისძიებებში მონაწილეობა მიღებული აქვთ მოწვეულ ლექტორებს და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებს. საერთო ჯამში, ინტერვიუების დროს დადასტურდა ფაქტი, რომ სამართლისა და პოლიტიკის სკოლას გააჩნია აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობა, რის საშუალებასაც აძლევს პროგრამის მიერ წარდგენილი ბიუჯეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; • გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან სესიების ფარგლებში; • საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები;

- პერსონალის მართვის წესი (2018 წელი);
- პერსონალის საქმიანობის შეფასება (2018-2020 წელი);
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა - შაბლონი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვინაიდან, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო, პროგრამის შეფასება განხორციელდა თანამედროვე ელექტრონული საშუალების (Zoom პლატფორმის) მეშვეობით, ჩატარებული ინტერვიურების და პროგრამის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის მატერიალური რესურსის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან.

სამართლის და პოლიტიკის სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერება ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვირტუალური ტურის მეშვეობით, ხოლო უნივერსიტეტის

მიერ საბიბლიოთეკო ფონდის და ელექტრონული ბაზების უზრუნველყოფა შეფასებული იქნა პროგრამის კოორდინატორთან და IT დეპარტამენტის თანამშრომელთან გასაუბრების ფარგლებში. ხელმისაწვდომი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ფუნქციონირება ინფრასტრუქტურულად გამართულია. აღნიშნული პროგრამა ხორციელდება ორ შენობაში, რომლის საკუთრების შესახებ დოკუმენტაცია სრულყოფილად წარდგენილია უნივერსიტეტის მიერ.

აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით (კომპიუტერები, ლეპტოპები; პროექტორები), რომელიც აქტიურად გამოიყენება ლექციების მიმდინარეობისას. წესრიგშია საევაკუაციო სისტემა. შემოწმდა ბიბლიოთეკაში საერთაშორისო ურთიერთობის სამაგისტრო პროგრამისათვის აუცილებელი საკითხავი მასალის ხელმისაწვდომობა, სახელმძღვანელოები ქართულ და უცხოურ ენებზე და რიდერები, რომელიც შეიძლება, მოძიებული იქნას ონლაინ-კატალოგით. პროგრამის კოორდინატორთან გასაუბრების დროს დამატებითად გაირკვა, რომ ელექტრონულ კატალოგში სილაბუსში გათვიალისწინებული რომელიმე საკითხავი მასალის პოვნის პრობლემის შემთხვევაში, პროგრამის კოორდინატორი სტუდენტებს აწვდის საჭირო ლიტერატურას.

ბიბლიოთეკა ინტეგრირებულია საერთაშორისო ბიბლიოთეკის ქსელში და აქვს წვდომა სპეციალიზებულ ელექტრონულ რესურსებზე, როგორიცაა (EBSCO; JSTOR; Cambridge Journals Online; BioOne Complete; e- Duke Journals Scholarly Collection; Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e- books; IMechE Journals; New England Journal of Medicine; Open edition Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier). უნივერსიტეტის პერსონალს და სტუდენტებს აქვთ წვდომა საბიბილიოთეკო ფონდთან და ონლაინ ბაზებთან დისტანციურ რეჟიმშიც.

წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ბიბლიოთეკა სრულყოფილადაა გამართული ინფრასტრუქტურულადაც (მაგიდები, სკამები, კარადები, კომპიუტერი და ა.შ.) გასაუბრებების დროს გაირკვა, რომ აკადემიური პერსონალისათვის გამოყოფილია სამუშაო სივრცე, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ნივთებით თუ ტექნიკით. უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის ფუნქციონირებს საუნივერსიტეტო ერთიანი ელექტრონული სისტემა LMB, სადაც იტვირთება სასწავლო მასალები, სილაბუსები და შეფასებები. ასევე, უნივერსიტეტში არსებული ლიტერატურის ფონდის აღრიცხვა და შენახვა ხდება პროგრამა KOHA-ს მიერ. მნიშვნელოვანია, რომ *ერასმუს +* პროექტის ფარგლებში რამდენიმე ქართულ უსდ-ს შორის შემენილი იქნა პლაგიატის

შემოწმების წამყვანი პროგრამა TURNITIN, რომელსაც ჯიპა აქტიურად იყენებს არსებული პროგრამების ფარგლებში აკადემიური სტანდარტების დაცვის და შემოწმების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუები მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დათვალიერების/შემოწმების სესიის ფარგლებში; • ბრისეს ქ. - შენობა (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან); • თაბუკაშვილი ქ. - შენობა (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან); • ინტერვიუ საერთაშორისო ურთიერთობების სამგისტრო პროგრამის კოორდინატორთან და IT დეპარტამენტის წარმომადგენელთან; • საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი არის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, შესაბამისად ორგანიზაციის მიზანს არ წარმოადგენს მოგების მიღება.

პროგრამის რეაკრედიტაციისთვის გამოგზავნილი დოკუმენტაციის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ჯამურ ინფორმაციას ყველა გათვალისწინებული ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ 2020-2021 აკადემიური წლის განმავლობაში. ყველაზე მსხვილი თანხა გამოყოფილია შრომის ანაზღაურებისთვის (ხარჯების 65%). კვლევები, კონფერენციები (წინამოსამზადებელი სამუშაო) და კურიკულუმების განახლება; სტუდენტური ფონდი; ლიტერატურა და საკანცელარიო ნივთებისა, ასევე სხვა ხარჯებისთვის გათვალისწინებულია დანარჩენი 35%.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის შესახებ მონაცემები ცხადყოფს პროგრამის მდგრადობას, რაც გამოვლინდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს. აღსანიშნავია, რომ სამართლის და პოლიტიკის სკოლის დეკანთან გასაუბრების ფარგლებში, მიღებული ინფორმაციის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი სხვადასხვა კვლევითი ღონისძიებების განსახორციელებლად შეადგენს 179 ათას ლარს, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ბიუჯეტში აღნიშნული თანხა 20.000 ლარის ოდენობით გათვალისწინებულია კვლევების, კონფერენციების (წინამოსამზადებელი სამუშაო) და კურიკულუმების განახლების წახალისების მიზნით. დადებითი ტენდენციაა 2020-2024 წლის სამოქმედო გეგმაში 15% ზრდის გათვალისწინება კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი 2020-2021;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს -,,დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე". უსდ-ში ფართოდ არის გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ხარისხის სახელმძღვანელო. აღნიშნულ დოკუმენტში თავმოყრილია ბოლონიის პროცესის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონითა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული ძირითადი მოთხოვნები. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შიდა შეფასების პროცესში მონაწილეობენ პროგრამის კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, სტუდენტები (არაპირდაპირ), ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების მეთოდების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში, მუშაობის შედეგად მიღებული მტკიცებულებები გამოიყენება პროგრამის ხარისხის შეფასების შედეგების გასაუმჯობესებლად. როგორც ონლაინ ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართულმა დოკუმენტებმა ცხადყო, პროგრამის განვითარებისა და განხორციელების პროცესში აქტიურად არის გამოყენებული სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები. პროგრამის ხარისხის განვითარებისათვის ეტაპობრივად ასევე ტარდება შეხვედრები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით. თუმცა, სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინირებით. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის განხორციელების შეფასებისას გაკეთებული რეკომენდაციები პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა ან სხვა დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის მონაცემები

გამოიყენება ცვლილებების განხორციელებისა და სწავლა/სწავლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • შიდა და გარე შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებების ანგარიში 2012-2021 სასწავლო წლებში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფრო მეტად იყოს ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასებისა და განვითარების პროცესში. სასურველია, სტუდენტი იყოს წარმოდგენილი გრძელვადიანი სტატუსით თვითშეფასების ჯგუფში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ ხარისხის გარე შეფასებისათვის იყენებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესს და გარე ექსპერტის შეფასებას. პროგრამაზე თანდართული დოკუმენტებისა და ონლაინ ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა პროგრამაში გარე შეფასების კომპონენტების გათვალისწინება: სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან 2012 წელს აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციები და გარე ექსპერტის შეფასება. პროგრამა გაეგზავნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ბ-ნ დავით აფრასიძეს საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზის, მიზნის, შედეგების, სტრუქტურის (კომპონენტების), განმახორციელებელი პერსონალის შეფასების მიზნით. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო კურიკულუმის განვითარების პროცესში უსდ-მ გაითვალისწინა და ასახა გაცემული რეკომენდაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები; • განხორციელებული ცვლილებების ანალიზი; • გარე ექსპერტის დასკვნა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამაგისტრო პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შემოწმების მიზნებისათვის აწარმოებს კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან (აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით) პროგრამის შემუშავების/ცვლილებების განხორციელებისას მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით. შეხვედრები და კონსულტაციები მიმდინარეობს ძირითადად მრგვალი მაგიდის ფორმატით და ითვალისწინებს ყველა შესაძლო დაინტერესებული მხარის ჩართულობას. გარდა ამისა, ტარდება გამოკითხვები აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების ჩართულობით, ხდება შესაბამისი მონაცემების გაანალიზება და შემდგომი საჭიროებების იდენტიფიცირება. სასწავლო პროცესის მონიტორინგი გულისხმობს სტუდენტთა და ლექტორთა შეფასებას, კოლეგიალურ შეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და შემდგომი სწავლის გაგრძელების მაჩვენებელს და სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პერსონალთან მუდმივ უკუკავშირსა და შეხვედრებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სისტემატიურ მონიტორინგს შესაბამისი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით პროგრამის ხელმძღვანელსა და კოორდინატორთან ერთად. პროგრამის განხორციელების პროცესში, სტუდენტთა გამოკითხვისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. აღნიშნული შეფასების მექანიზმების გამოყენებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს რეკომენდაციების შემუშავებას, რომლის საფუძველზეც ხდება პროგრამის განვითარება. სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნას არსებული თანამშრომლობა და კონტაქტები განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მიზნით

პროგრამის გასაუმჯობესებლად (როგორც სხვა უსდ-ებში დასაქმებული ქართველი, ასევე უცხოელი კოლეგების მიერ). ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება ხდება პროგრამის კურიკულუმის განვითარების სამუშაო ეტაპზე, რაც ასევე დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზრის კვლევისა და სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით, რომელიც მიუთითებს, რომ მონაცემების ანალიზის საფუძველზე მხედველობაში მიიღება რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისათვის, რათა უკეთ მოხდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება. მიზანშეწონილია, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები; • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; • განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშები; • ლექტორებთან განხორციელებული შეხვედრების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: მიზანშეწონილია პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის გამოყენების მიზნით, პერიოდულად ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და აღნიშნული პროცესის ფორმალიზებაც (დოკუმენტური დადასტურება).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის ფარგლებში გამოყენებულ იქნას არსებული თანამშრომლობა და კონტაქტები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო, განმავითარებელი კოლეგიალური შეფასების მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ- ეროვნული - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 58

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არს შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების		V		

შეფასების ადეკვატურობა				
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ფავლენიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის:

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ივანნა მაჩიტიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: თამთა ცხოვრებაძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნიკა გიგაური